

**ადამიანის არსის გააზრების საკითხი  
აკაკი წერეთლის პოეზიაში  
UNDERSTANDING HUMAN ESSENCE  
IN THE POETRY OF AKAKI TSERETELI**

**დალი ბეთხოშვილი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ახალციხე, საქართველო

**Dali Betkoshvili**

Samtskhe-Javakheti State University  
Akhaltsikhe, Georgia

**ABSTRACT**

The aspects characteristic to and defining of the human life, and their spiritual and material existence are manifested in Akaki Tsereteli's works, the aspects that are distributed across the material time and space, however, beyond that, absence of time and spiritual time and space are to be understood. It, indeed, is natural since, by divine providence, human existence is to be assumed within the two dimensions.

The poetry by Akaki Tsereteli deals with human experiences of approaching the end of life, the tragedy of old age which indicates the end of earthy life, and the beginning of the eternal way. It could be assumed that the very spirit is engrained in many of the works by Akaki, though some of them outline the same idea even clearer.

The works by Akaki Tsereteli do not manifest the earthy and heavenly life as something separately existing, rather they reflect a strong and necessary connection between them, based on the century-long tradition since one would not exist without the other, which is clearly reflected throughout Akaki's works. One reality gives rise to another "just as the death of the one gives way to the life of another, it means that it is an endless and revolving process. A human being, standing in the center of this process and at the crossroad of the two worlds, handles the problem of the inseparability of heaven and earth which is interpreted in many ways in Akaki's works. Akaki Tsereteli believes that the place of a man and his mission are to be understood and assimilated. This includes both material and spiritual aspects of human life.

A human being in Akaki's works, whether young or old, has such values that are to be embraced by a human in general in this earthy life, to prepare for another, eternal world.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული პოეზია, აკაკი წერეთელი, ადამიანის არსი, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

**Keywords:** Georgian Poetry, Akaki Tsereteli, Human Essence, Death-Life Relation.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ადამიანის ცხოვრებისთვის, სულიერ-მატერიალური არსებობისთვის დამახასიათებელი და განსაზღვრელი ასპექტები იკითხება, რომელიც განფენილია მიწიერ დროსა და სივრცეში, მაგრამ მის მიღმა უყამობა, სულიერი დრო-სივრცე არის გასააზრებელი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ღმერთის განგებით ადამიანის ყოფიერება სწორედ ამ ორ განზომილებაშია საგულვებელი. შემოქმედმა ღმერთმა ძე-ღმერთის – იესო ქრისტეს საშუალებით და სულიწმიდის შემოქმედებითი ძალით ზეციური და მიწიერი, მარადიული და წარმავალი დააკავშირა ერთმანეთს, შეაზავა და, აქედან გამომდინარე, ადამიანის წარმავალი არსებობა ღვთაებრივით აავსო. შესაბამისად, ამქვეყნიური საკითხები მჭიდროდ გადაეჯაჭვა მარადიულს და მათი გააზრება მხოლოდ ამ ამოსავლით არის შესაძლებელი.

აკაკის შემოქმედება სწორედ ამ ნაზავს წარმოადგენს და ყოველი საანალიზო საკითხი ამ ჭრილშია გასააზრებელი. ასეთ საკითხთა წრეს წარმოადგენს აკაკის პოეზიაში ჩაქსოვილი ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა სიცოცხლის მიწურვის განცდა – სიბერის ტრაგედია, რომელიც წუთისოფლის დასასრულსა და მარადიული გზის დასაწყისზე მეტყველებს. შეიძლება ითქვას, რომ აკაკის პოეზიის ბევრი ნიმუში ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ზოგიერთ ნაწარმოებში კიდევ მეტად იკვეთება აღნიშნული სათქმელი.

ადამიანის ფენომენი ყოველი ეპოქის მწერლობის, ყოველი ჟანრის ნაწარმოებთა სამსჯელო საკითხს ოდითგანვე წარმოადგენდა. მისი არსის ამოკითხვას ეცადა სასულიერო და საერო მწერლობა, რომელთა განხილვის ცენტრში მყოფი ადამიანი გაიაზრებოდა ცალმხრივად, ერთ ჭრილში, განსაზღვრულ ჩარჩოში. ადამიანის აზროვნება წარმოსახულის მიღმა უნდა ჰქვრეტდეს ადამიანის შესახებ ავტორის სათქმელის ნიშანდობლივ მსოფლმხედველობრივ არსს, შემდეგ თანდათანობით ეს ჩარჩო ფართოვდება, ადამიანი დახატულია უფრო მეტი სახასიათო ნიშან-თვისებებით, რომლებშიც მეტად იკვეთება ეპოქის სულისკვეთება, რა აწუხებს და უხარია, ადამიანის არსში იხატება რწმენასთან დამოკიდებულება, მისწრაფებები და ა. შ. რ. თვარაძის აზრით, „ერთი ნაბიჯი (ჰაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფიის შემდეგი მწერლობა – დ. ბ.) და შესაძლო გახდება მწერლობის ინტერესთა სფეროში მოექცეს არა მხოლოდ წმინდანთა და განდეგილთა ცხოვრება-მოღვაწეობა თუ მარტვილობა, არა მხოლოდ სამონასტრო ყოფა, არამედ საერთოდ ადამიანი თავისი საამსოფლო საწუხარითა და საზრუნავით, ჭირით და ლხინით, ეჭვით და რწმენით, ოცნებებითა და იდეალებით, ადამიანიც და მისი გარემომცველი სინამდვილეც, ერთი სიტყვით – ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით“ (თვარაძე 1987: 28).

მისივე თქმით, „მაგრამ რაოდენ ძნელად გადასადგმელია ეს ერთი ნაბიჯი! საამისოდ ცნობიერებაში უზარმაზარი მსოფლმხედველობრივი ძვრა უნდა მოხდეს. კაცის გონება უნდა ჩასწვდეს იმ თითქოსდა მარტივ ჭეშმარიტებას, რომ სოფელი, უთვალავ ფერად გადაშლილი ქვეყნიერება მთელი თავისი მშვენიერებით მოსამაგებლად და განსაშორებლად კი არ არის შექმნილი, არამედ კაცთათვის არის ზომიერებული სამოქმედოდ, რომ ქმედითი

ცხოვრება ღმერთის ნების საწინააღმდეგო კი არ არის, არამედ სწორედ მისგან არის ნაკურთხი, სწორედ საღმრთო ცხოვრებაა, სულიერად კაცის ამაღლებელი და სანეტარო ზესთასოფელს დამახლოებელი“ (თვარაძე 1987: 29).

რ. სირამის შეხედულებით, „ყოველ ეპოქას თავისი შეხედულება აქვს ადამიანზე; როგორცაა მოძღვრება ადამიანზე, იმგვარივეა მწერლობაც.

ადრეული შუა საუკუნეებიდანვე ჩამოყალიბდა თავისებური ადამიანთმცოდნეობა, რომლის მიხედვით, ადამიანში ორგვარი ბუნებაა: სულიერი და ხორციელი. ადამიანის სული ღვთაებრივია, ხორციელი ბუნება კი სულ სხვაა, ხორციელი ბუნება მდაბალია... შუასაუკუნეობრივი თვალსაზრისით, სულსა და ხორცს შორის მუდმივი ბრძოლაა, სულია ის, რაც სიკეთისა და ამაღლებულობისაკენ იზიდავს ადამიანს, ხორციელი ბუნება კი ცვალებადია და წარმავალი. ამიტომ ადამიანის ფიქრი და ოცნება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ სულიერი თვითსრულყოფისაკენ. ეს ითვლებოდა ადამიანის უმთავრეს მიზნად“ (სირამე 1987: 687).

მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში ადამიანის მრავალმხრივ ასახვას უდიდესი ადგილი უჭირავს და მთელი რიგი მრავალფეროვნებით არის წარმოსახული როგორც სულიერი, ასევე საერო-ამქვეყნიური ღირებულებითა და დანიშნულებით. ამ ეპოქის მწერლობაში ჩანს ადამიანი ერთ მთლიანობაში. მასში არეკლილია ეპოქის ყველა მოთხოვნა, რომელიც შეეხება როგორც რწმენის საკითხებს, ასევე ყოფით დეტალებს; ეს საკითხები ერთმანეთშია შერწყმული, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, რადგან უერთმანეთოდ სოფელი და ზესთასოფელი ვერ წარიმართება მხოლოდ დამოუკიდებელი დინებით, ერთი მეორეს განსაზღვრავს და განაპირობებს... აღნიშნული ეპოქის შემოქმედთა მსოფლმხედველობრივ აღქმაში ადამიანი-პერსონაჟი სულიერ-მატერიალურის ჭიდილში იხილვება, აქ ისახება მისი წუთისოფლის ცხოვრება და დანიშნულება, ზესთასოფლისკენ მიმავალი გზა და ღირებულებები. იგი, როგორც სამყაროს შესაკრებელი, ირეკლავს სიცოცხლისთვის დამახასიათებელ საფეხურებს, რომელზეც თვით ადამიანის ყოფა, სიცოცხლის თავისებურებანი იკითხება... აღსანიშნავია ის მთავარიც, რომ მეცხრამეტე საუკუნის მხატვრულ აზროვნებაში ადამიანის მხატვრულ სახეში განსახიერებული და ჩადებულია ყველა ის პრობლემა, რაც ეპოქას აწუხებს. მოთხოვნაა ამ საკითხების ახლებურად გააზრება და მისი გადაჭრის გზების ძიების მცდელობაც არის დასახული თვით ადამიანის პერსონის დახმარებით, რომელმაც განუზომელი როლი შეასრულა ამ მსოფლმხედველობის მკითხველის ცნობიერებამდე მიტანაში.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში სოფელი და ზესთასოფელი ერთმანეთისაგან გათიშულად კი არ არის წარმოდგენილი, არამედ, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციის კვალობაზე, მათ შორის მყარი და აუცილებელი კავშირია ასახული, რადგან ერთმანეთის გარეშე ვერც ერთი ვერ იარსებებდა, რაზეც უდავოდ მეტყველებს აკაკის ნააზრევო; ერთი რეალობა განაპირობებს მეორეს, „მსგავსად იმისა, რომ ერთის სიკვდილი შობს მეორის სიცოცხლეს, ე. ი. დაუსრულებელი, განახლებადი პროცესია. ამ პროცესის ცენტრში დგას ადამიანი, ორივე სამყაროს გზაგასაყარზე მყოფი, რომელიც მიწისა და ზეცის განუყოფლობის

საკითხს აგვარებს, რაც მრავალმხრივ ჭრილში გაიაზრება აკაკი წერეთლის შემოქმედებაში. აკაკი თვლის, რომ ადამიანის ადგილი, მისი სიცოცხლის – არსებობის მისია უნდა იქნეს გაცნობიერებული და გათავისებულებული. ეს მოიცავს მისი ცხოვრების როგორც მატერიალურ, ისე სულიერ ასპექტებს.

ამ მთლიანობის ცენტრში დგას ადამიანი, რომელიც ორივე სამყაროს ამთლიანებს. რ. სირამის სიტყვით: „ადამიანი ზეცისა და მიწის შემაერთებელია. სამყაროში არ არსებობს ისეთი რაიმე, რაც რომ ადამიანის ბუნებაში არ იყოს. მხოლოდ ადამიანშია ორგვარი ბუნება, სულიერი და ხორციელი. სხვა ყველაფერში მხოლოდ ერთ-ერთი ამათვანია: ღმერთში მხოლოდ სულიერებაა, ბუნებაში მხოლოდ ხორციელება. ყველაფერს აზრს ანიჭებს ადამიანი“ (სირამე 1987: 688).

პოეტი, ადამიანი სამყაროს ცენტრია, იგი დგას უფალსა და ქვეყანას შორის, სულისა და ხორცის ერთიანობაში და ორივესადმი სამსახური ამქვეყნადვე ვალად, მოვალეობად აწევს, რასაც გვიხატავს აკაკის ლექსი „ქართლის სალამი“:

შენს ერთგულ მონას, მსხვერპლადცა მზასა,

შენთვის ოხვრისგან დაწყლულებულსა (წერეთელი 1980: 37).

ამ ტაეპის შესახებ განმარტებით ლექსიკონებში სხვადასხვა ახსნა გვაქვს მოცემული. ჩვენი მხრიდან აღვნიშნავთ, რომ ადამიანი სოფლის, ამქვეყნის სიხარულია, რადგან იგი ღმერთმა გააჩინა, ყველაფერი მისთვის შექმნა და იგი დააწესა ამ სოფლის ბატონად, „მიცემული აქვს ძალაუფლება (ხელმწიფება) დანარჩენ ქმნილებებზე“ (დაბ. 1, 28. ფს. 8, 7-9) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 243). ამავე დროს, მისცა შესაძლებლობა ქვეყნის სიმდიდრე, საფასე იყოს, მაგრამ იგი არა მარტო ქვეყნის სიმდიდრეა, არამედ მასაც მოეთხოვება შესაფერისი სამსახური გაუწიოს ამ სოფელს და გაიკვალოს გზა „მუნ“ სამყაროსაკენ.

წუთისოფლის ტკივილიანი განცდა ყველაზე მეტად წარმოაჩენს ადამიანის არსის, ხვედრის პრობლემას, რომელიც წარმავლობის სივრცეში განფენილი სხვაგვარ გააზრებას ითხოვს – სიცოცხლისა და სიკვდილის გზაგასაყარზე მყოფი... აკაკი წერეთლის შენიშვნით: „ძველმა თაობამ თითქმის მოჭამა თავისი სოფელი: მას საუკეთესო ნაწილი თავისი სიცოცხლისა, ის დრო სიცოცხლისა, როცა კაცი უნდა მოქმედებდეს და აკეთებდეს, თუ კი რისამე გაკეთება ჰსურს და შეუძლია, გატარებული აქვს და აწ მიღწეულია იმ ხანში და მდგომარეობაში, როცა კაცი აღარ სცხოვრობს მომავალი იმედებით, არამედ სულ თავის წარსულ ცხოვრებასა და მოქმედებას იგონებს და მაში ეძებს იმედსა და საკვებურადაც ის მიაჩნია. იმ მდგომარეობაში, ვამბობ, როცა ადამიანი, ძალა და იმედ მოკლებული, სულ თან და თან უახლოვდება სიკვდილსა და საფლავს, სადაც თავდება მისი ამ ქვეყნიური ცხოვრება და მოქმედება...“ (წერეთელი 1988: 470).

პირად წერილში „ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე“ აკაკი წერეთელი გულმტკივნეულად აღნიშნავს:

აჰა, საზღვარი სიკვდილ-სიცოცხლის,

უცნობ-ნაცნობი რამ გამოცანა...

აქ იყრებიან, ვით დღე და ღამე,

ის საუკუნო და ეს ქვეყანა!...

ამ საიდუმლო საზღვრის წინაშე  
წამდგარვართ დღეს ჩვენ თვალ-ცრემლიანი  
და თაყვანსა ვცემთ, ვინც ღირსეულად  
განვლო ამ ქვეყნის გზა ეკლიანი (წერეთელი 1988: 512).

აკაკი წერეთლის სიტყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე  
წარმოთქმული:

...მინდა მზე ვიყო, რომ სხივი  
ჩემსა გარემოს მოვავლო,  
სალამოს მიტომ ჩავიდე,  
რომ დილა უფრო ვაცხოვლო (იქვე).

დამოწმებულ ლექსებში (თითქმის მთელ მის პოეზიაში), ფაქტობრივად, მთელი ცხოვრებაა დანახული – წუთისოფელიც და მარადიულიც, შეცნობადიც და შეუცნობელიც, რომლებიც იდუმალებითაა მოცული. შეუცნობლობა და იდუმალება წუთისოფელშიც ძვეს, რადგან ამქვეყნად ისე ცხოვრობს ადამიანი, ყველაფერს ისე აკეთებს, რომ ბოლოს, სიცოცხლის მიწურვისას, აღმოაჩენს, რომ ბევრი რამ მისთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, ვერ მიაღწია იმ შესაძლებელს, რაც სინამდვილეში უნდა გაეკეთებინა... კიდევ უფრო შეუცნობელია ის ხვედრი, რომელიც „ხვალ“ ელოდება ადამიანს, მისი გონებისთვის მიუწვდომელია სასუფეველის არსებობის არსი, მის გათავისებებაში მხოლოდ ღმერთის ძალა და რწმენა შეეწევა, ეს მოსალოდნელი ცხოვრება რომ მისი ახლობელი გახდეს. ადამიანი ის საზღვარია, რომელიც მისი ხორციელი გარდაცვალების შემდეგ გადადის ზესთასამყაროში, მუდმივად რომ დაივანოს მისმა სულმა.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე მუშაობამ, მისმა კვლევამ აშკარად დამანახა ერთი მთავარი ფასეულობა – ადამიანი, დიდი, რთულად შესაცნობი სამყარო ერთ დიდ ვრცელ სამყაროში. წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვი ასე წერს ადამიანის შესახებ: „რას წარმოადგენს ადამიანი? „რამეთუ თქვენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ, ვითარცა თქუა ღმერთმან: დავიმკვდრო და ვიქცეოდი მათ შორის და ვიყო მე მათდა ღმერთ და იგინი იყვნენ ჩემდა ერად“ (2 კორ. 6, 16). წმიდა წერილი ადამიანს მოიხსენიებს სახლად, სავანედ, ჭურჭლად, ხოლო, ის, ვისაც არ სურს იყოს სახლი ღმრთისა, საღმრთო მადლის ჭურჭელი, შეიქმნება ცოდვისა და ეშმაკის სადგომად და ჭურჭლად. იმ ადამიანმა კი, რომელიც მხოლოდ ცოდვის ჭურჭელს წარმოადგენს, უნდა მოინანიოს: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათ. 4, 17), რადგან სინანული არის ღმერთთან მიახლების უპირველესი პირობა – ახალი აღთქმის პირველმქადაგებელმა, უფლის წინამორბედმა, დიდმა იოანემ ქადაგება სინანულისაკენ მოწოდებით დაიწყო“ (ბრიანჩანინოვი 2004: 35).

„ადამიანის სიცოცხლე, წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვის თქმით, იქნებ უზარმაზარი სიცრუეა, რომელშიც თითოეული, დედამიწაზე წამიერად მოვლინებული, თავს მარადიულად, განსაკუთრებულად და განუმეორებლად შეიგრძნობს და წარმოიდგენს, თუმცა, სრულად, ყოველივეს შეცნობასა და გაკეთებას ვერ ასწრებს, ისე აღიხოცება მოუხელთებელი და მუდამ „ნაადრევი“ სიკვდილით ჯერ ამ ქვეყნიდან, შემდეგ კი ცოცხლად დარჩენილთა ხსოვნიდანაც“ (ბრიანჩანინოვი, 2004: 3). დავით



წინასწარმეტყველი ბრძანებს: „რამეთუ ყოვლითავე ცუდ არს ყოველი კაცი ხორციელი“ (ფს. 38, 5).

პოეტი, პირველ რიგში, ინტერესდება ადამიანის არსით, სიცოცხლის ორივე დრო-სივრცით. მისი ყოველი მხატვრული სიტყვის სათქმელი, უპირველეს ყოვლისა, ამ ფენომენის ახსნისაკენაა მიმართული. ცხოვრების თანამდევი პრობლემები სწორედ ადამიანის სამყაროს ირგვლივ იყრის თავს და წარიმართება ამა თუ იმ კუთხით. აკაკის სწავლებით, „მწერლობა უცნაური სარკეა, სადაც ქვეყნის ძველი და ახალი აკვარგიანობა უმეტნაკლებოდ უნდა პირდაპირ იხატებოდეს და არა – კერძო საპირადოდ სანავადოდ სარბიელი. მწერალი კი დიდი მოძღვარია ქვეყნისა, რომელსაც ყურს უგდებენ „აწ და მარადის“ და მიტომაც მისი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე დიდია“ („ცხელ-ცხელი ამბები“).

აკაკი წერეთელი, როგორც ადამიანი, პიროვნება და შემოქმედი, ბედნიერია, რადგან თავისი სიტყვიერი საქმით ბოროტების წინააღმდეგ ილაშქრებს და სიკეთეს თესავს; სიკეთე, პოეტის გაგებით, ფუფუნებაში, სხვისი ქონების მიკუთვნებაში, ქვრივ-ობლების ლუკმის მიტაცებაში და დიდკაცობაში კი არ ძვეს, არამედ – სიღარიბეში, უბრალოებაში, უფლისადმი მონებაში, გაჭირვებაში, როდესაც უკეთ გაქვს შესწავლილი ცხოვრება და იცი სიცოცხლის ფასი. ეს დამომღვრითი ხასიათის შეხედულებები გატარებულია ლექსში „უდარდო კაცი“, საიდანაც ამჯერად ერთ სტროფს დავიმოწმებ:

ყველასათვის კარგი მსურს,  
ბოროტების მტერი ვარ,  
არ გავივლებ გულში შურს  
და მით ბედნიერი ვარ (წერეთელი 1988: 19).

ლექსში „მიმკვლევა“ აკაკი აღავლენს ლოცვით სავსე ვედრებას, სიკეთის დასამკვიდრებლად, წუთისოფელს რომ მოჰფინოს, სადაც ნატვრის ამხდენი მხოლოდ ერთი ღმერთია:

და ლოცვა-ნატვრას დავიწყებთ...  
ეს ძველებური წესია:  
ის ერთი ასად მოიმკოს,  
რაც კარგი დაგიტესია!.. (წერეთელი 1980: 189).

აკაკი წერეთელი აგრეთვე საუბრობს იმ სიკეთეზე, რისი აღსრულებაც ქართველმა ადამიანმა იცოდა და ასეთი სასიკეთო საქმეებს აქსოვდა თავის ყოველდღიურ ღვაწლში ქვეყნისა და ღმერთის წინაშე, მაგრამ შემდეგ დაივიწყა და ცოდვას მიეცა. ქართველის გონება ასე გამოხატავდა თავის დროზე საკუთარ მისიას წუთისოფლისა და ღმერთის წინაშე (ლექსი „სხვადასხვა ერი“ (ქართველები):

და რაღა უნდა ამ ქვეყნად  
ადამის შვილსა მეტიო?  
ვინც ამას არ დასჯერდება,  
გიჟი იქნება, რეტიო!

...

ენა და სარწმუნოება,  
ზნეობა საამურიო;

ამ ქვეყნად ყველას პატივი,  
მაღლა ღვთის სამსახურიო! (წერეთელი 1980: 114).

აკაკისათვის დიდ ტკივილს იწვევს ადამიანის მიერ ადამიანური ღირებულებების, მოვალეობების დავიწყება, რაც ღმერთისაგან დაშორების მაუწყებელია. ეს კი ადამიანის ყოველდღიურ ოხვრას, კვნესას იწვევს, რაც ცოდვის გამრავლების შედეგია და მხოლოდღა ვედრება დარჩენია ღმერთისადმი აღსავლენი, მისადმი „მონებით“ – მსახურებით თუდა შეძლებს ძველ სასიკეთო გზაზე მიბრუნებას; ამ გზაზე მწუხარე პოეტს ძველი იდეალი – მუზა ეწვევა, რომელიც ძალას შთაბერავს, კვლავ სულს ჩაუდგამს, „მიწისშვილობიდან“ ღვთაებისაკენ მიაბრუნებს (ლექსი „სიმღერა“).

აკაკი წერეთელი თავის ნააზრევს, უპირველესად, ადამიანის, ღმერთის სამსახურში ამყოფებდა და ამით იყო კმაყოფილი და გაჯერებული, რაც მისთვის ერთგვარი მთავარი საზრდო და წუთისოფლის გადაძლახავი საყრდენია.

პოეტი ამაცობს, რომ ბუნების ყველაზე სრულყოფილი ქმნილება, მისი გვირგვინი ადამიანია. ბუნების სიმშვენიერის განცდა ნეტარებით აღავსებს პოეტს, მაგრამ მისი სულიერი აღორძინების მთავარი წყარო ადამიანის შინაგან სამყაროშია:

რამ ამამალა? ვინ მაგრძნობინა  
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?..  
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება  
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!  
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის  
კავშირო და თან შუამავალო!  
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,  
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!..  
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,  
გამოუთქმელო კაცთა ენითა...  
შენგან მგოსანი ფრთაშესხმული ვარ  
და მონავარდე აღმაფრენითა,  
და მეც გედივით სიკვდილის წინეთ  
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო...  
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ

და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო (წერეთელი 1980: 140-141; ქართული... 1974: 151-152).

დამოწმებული ლექსის მიხედვით, ადამიანის არსებობაში ცოდვათა მონანიებას, სიყვარულის სათნოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ფაქტობრივად, ყველა ადამიანის ცოდვითმოსილებას ანელებს საღვთო სიყვარულის გათავისება და აღდგენა. ეს საფეხურები წუთისოფლის ცხოვრების ცვლილების ამსახველია, რომელთა გარეშე ადამიანის არსებობა არ ისაზღვრება.

ამ ცვლილების ფონზე თვით ადამიანის არსებობის ცვლილება განისაზღვრება. თუ არა ცვალებადობა, ერთი არსიდან მეორეში გადანაცვლება, სხვაგვარად ადამიანის არსსაც ვერ ჩაწვდება სათქმელი.

ეს ცვლილება ასახავს ადამიანის ცხოვრების ასპექტებსაც, როგორც მისი იცხოვრა ღმერთისა და ქვეყნის წინაშე. წმ. გაბრიელ ქიქოძე აღნიშნავს, რომ: „ღვაწლით ცხოვრება, „ღირსებით ცხოვრება“, პასუხია იმაზე, თუ რა არის ადამიანის დანიშნულება. როცა ეს გარკვეულია, მაშინ ცხოვრების გზაც მოძებნილია“, რადგან: „ქრისტიანული რწმენა ეყრდნობა რა ღვთიურ გამოცხადებას... გვასწავლის, რომ ადამიანი მთელი თავისი შემადგენლობით, ე. ი. სულითა და სხეულით, შექმნილია მისი ამქვეყნიური დამსახურების შესატყვისი მარადიული ცხოვრებისათვის. ვინც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აზიარა სული სიკეთეს, იგი მომავალ ცხოვრებაშიც იპოვის უმაღლეს ჯილდოს იმავე სიკეთეში“ (ქიქოძე 1993: 252-253).

ბუნების, მთლიანი სამყაროს ფონზე ადამიანი ერთ მთლიან, განუყოფელ არსებად წარმოიჩინდება, რომელშიც უკეთვლინდება ადამიანის არსი, მისი დანიშნულება. ჩანს, რომ ადამიანი თავისი განვითარების ჰორიზონტით, დანიშნულებით, ღირებულებებით ერთნაირად არ წარსდგება ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურზე, იგი მუდამ ვითარდება და იზრდება, რაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ცოდნას, გამოცდილებას, რელიგიური სათნოებების გათავისებისა და აღსრულების ხარისხს, უმთავრეს სათნოებას – სიყვარულს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის მაღალ მსოფლმხედველობრივი აზროვნების სივრცეს და მოწოდებას, რამდენად აღსრულებს თავის მისიას სამყაროში.

ადამიანის არსის, მისი სიცოცხლე-არსებობის ფენომენის გააზრების საფუძველი ბიბლიურ მსოფლმხედველობაში ძვეს, რაც თავის გააზრებას ფილოსოფიასა და მხატვრულ აზროვნებაში ჰპოვებს. ადამიანის არსის გააზრება-გაცნობიერება ღმერთის შემეცნებიდან იღებს სათავეს: „ყოველივე მიმაჩნია ამაოებად ღმერთის შეცნობასთან შედარებით“ (ფილიპ. 3, 7-8). ღმერთის შეცნობა კი ადამიანის ხსნას მოასწავებს: „ღმერთისა და ქრისტეს ცნობა არის საუკუნო ხსნა“ (იოან. 17, 3; I იოან, 5, 20; 2 პეტ. 1, 3) (ბიბლიის ლექსიკონი 2000: 311). აკაკი წერეთელი თავისი მსოფლმხედველობით ადამიანის სამყაროს, მის ბედს, ხვედრს უტრიალებს მუდამ და მტკივნეულად განიცდის. მან კარგად იცის სამოთხე და ჯოჯოხეთი, რომელიც ამქვეყნადვე არსებობს ადამიანის არსისაგან განუყოფლად:

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!

თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ... („ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!“ წერეთელი 1988: 23).

სამოთხე და ჯოჯოხეთი აშინაარსებს სულიერი სამყაროს არსებობასა და მთლიანობას, და არა მარტო სულიერს, ამქვეყნიურსაც, რამეთუ მიწიერ გარემოში მყოფობა განსაზღვრავს სამერმისოდ, ადამიანი ამქვეყნიდან განსვლის შემდეგ რომელ განზომილებაში, როგორ დრო-სივრცულ სამყაროში დაივანებს ნავსაყუდელს – სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. უსაფუძვლოდ არ არის ნახსენები აკაკის მიერ: „მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ...“ გული იმარხავს ყოველივე ღვთიურსა და არაღვთიურს, ისაა სავანე ადამიანის არსისა...

აკაკი წერეთელი ლექსში „აღმართ-აღმართ“ გვიჩვენებს არა მარტო როგორც შემოქმედის, არამედ რიგითი ადამიანის სულიერ განცდებს იმის



შესახებ, რომ ადამიანი სულისა და ხორცის ნაზავია, ერთი ყოველთვის მეორისაკენ წარმართავს და ამ ერთიანობაში ადამიანის არსებობა მთლიან სამყაროსთან ერთიან კავშირშია მოაზრებული.

ადამიანის საწუთრო ცხოვრება გზა-კვალის ამრევად მიაჩნია, რადგან ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ჭირისა და ლხინის მონაცვლეობა:

აწ რაღა ვარ, შენგან ტრფობას ჩვეული?

ვეხეტები გზა-და-კვალდაბნეული!

ლხინს ვშორდები, ჭირისაგან წვეული!“ („რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“; წერეთელი 1988: 39).

აკაკის ცხოვრებაში ჭირია გამრავლებული, რადგან სამყაროს სხვაგვარად მხედია, ამ მტანჯველ გზაზე კი თანამგრძნობი ნაკლებად ჰყავდა, ან საერთოდ არა. აქედან გამომდინარე იყო ამოზრდილი მისი მარტოობის განცდა. საკუთარი ჭირის პირისპირ ყოფნა, თანამგრძნობელის გარეშე მარტოობის შეგრძნება ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში დასტურდება. ამჯერად ერთ ძეგლს დავიმოწმებ, კერძოდ, იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამებაში“ წმიდა შუშანიკს ყოველთვის მიაჩნია, რომ მის მიერ არჩეულ ამქვეყნიურ მტანჯველ გზაზე არავინ თანაუგრძნობს: „ჩემდა მარტოდას არიან ჭირნი ესე“ (ძეგლები 1963); „არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალედ, არცა ერისა კაცი გამოჩნდა შორის ერსა ამის, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითვალეს მტერსა“ (იქვე); ჯოჯიკი თავისი ოჯახით ეახლა შუშანიკს. ის კვლავ იმეორებს: „არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობად და ტკივილი ჩემთვის...“ (იქვე).

ჭირი და ლხინი ორ არსში – სულიერ-მატერიალურის მომცველ ადამიანის სამყაროში ერთმანეთის გვერდით არსებობს; ადამიანი თავისი ლხინით ჭირის გამზიარებელია, ჭირისუფალია, რამეთუ ჯერ საკუთარი ჭირის განმცდელია... ჭირისუფლობა ერთდროულად მოიცავს ცოდვებსაც, სინანულს, ცრემლს, სიწმინდესაც, სიცოცხლის მედინობას – მის განახლებას, ღმერთის ხსოვნებას და, შესაბამისად, ადამიანის არსის, ზოგადად, სიცოცხლის არსის გაცნობიერებას და მისი შეცნობისაკენ სწრაფვის გამოხატულებაცაა.

„ჭირისუფლობა“ თავის თავში მოიცავს იმ ჭირს, მძიმე ხვედრს, რასაც განიცდის მოკვდავი ადამიანი წარმავალ წუთისოფელში. აკაკი წერეთელი თავის ლექსში როგორც შენიშნავს:

ვერ შემაშინებს რისხვით ცა,

ჭირზედა ჭირის მთოვარი („გამოფხიზლება“; წერეთელი 1988: 47).

ფაქტობრივად, აღნიშნულია, რომ მიწიერ სივრცეში ცოდვებია დასადგურებული და გაბატონებული, მის ქუდქვეშ კი ადამიანი მრავალგვარი ჭირის განმცდელი და მატარებელია, მაგრამ ეს ტკივილი ცნობიერების გამომაფხიზლებელია, სხვაგვარად მხედია და, ჭირის, განსაცდელის გაზიარებით, ისახავს სიკეთის გზას. პოეტი ჭირის განელებას, ცოდვების გადალახვას ცრემლით იმსუბუქებს, რაზეც მიანიშნებს ლექსთა უმრავლესობაში და მასზე ნაშრომში არაერთხელ ვსაუბრობთ, რამეთუ გვერდს ვერ აუხვევ... აკაკის ყოველთვის მიაჩნია, რომ ხშირად

ცრემლის ფრქვევა შეხსენებაა ყოველდღიური გადაცდომების – ცოდვების აღიარებისა, ცრემლი კი სინანულის გამოხატულებაა, რითაც ადამიანი იმსუბუქებს წუთისოფელს:

...ნუთუ ცოდვას ვერ გამბანდა

ესოდენი ჭირთა ჩენა? (უსათაურო „ალექსანდრა გამიხელდა“; წერეთელი 1980: 47).

ჭირისუფლობა აკაკი წერეთელს გაგებული აქვს, როგორც დიდი მისია – საქვეყნო, საზოგადო საქმისათვის თავდადება და ტკივილის გამოხატვა საკუთარ და, ზოგადად, წუთისოფლის სიცოცხლეზე, რომ მწუხარებისაგან, წარმავალი წუთისოფლის ტკივილებისაგან გათავისუფლება სულიერი ნეტარების, სულის სიმშვიდის, მარადიული სიცოცხლის მაუწყებელია: „მწუხარებით დამძიმებული გული თხოულობს შემსუბუქებას“ (წერეთელი 1988: 500).

თეთრი ჭადარით შემოსილი, ცხოვრების ბრძმედში გამოტარებული, ბევრი ჭირის განმცდელი აკაკი წერეთელი თავს მუდამ მარტოდ გრძნობდა, რადგან ბევრ პრობლემას ითავისებდა და მისი გადაჭრის გზებს ეძებდა და მიაჩნდა, რომ ამ პროცესში სხვა არავინ იყო მის გვერდით. სხვებისაგან იმედგაცრუებული მარტო ეჭიდებოდა ადამიანის მარტოობის დამძლევ გზებს და ყოველთვის თავისებურად წყვეტდა, თანაც ისე, რომ ღრმად ჩაეხედა პიროვნების ღრმა სულიერ შრეებში და მეტი ამოეკითხა. ეს მიდგომები ძალიან კარგად ჩანს მის ყველა პერსონაჟში, რომელთაც ყველა ის საკითხი აწუხებთ, რაც თანამდევია წუთისოფლის რეალური ცხოვრებისთვის. უპირველესად, აკაკი ამას საკუთარ თავში გრძნობდა და შემდეგ სხვადასხვა ჭირილში განსხვავებული სახასიათო თვისებების მატარებელ პერსონაჟებში აქსოვდა.

აკაკი წერეთელი, როგორც სიბერის ასაკს მიღწეული, ცხოვრებაგამოვლილი შემოქმედი, სამყაროს ერთ დიდ სარკედ მოიაზრებს, სადაც შეიძლება შინაგანი, სულიერი თვალი ღრმად მიმართო და იქ დაინახო ადამიანი, როგორც ამ სარკის ანარეკლი, რომელსაც სხვაგვარად ჩახედვა სჭირდება, რომ ამოიციო მისი არსი. ადამიანის სამყაროში სიკეთეც იჭვრიტება და ჯოჯოხეთიც, თეთრი – ნათელიც და ტანჯვით მოსილი – სისხლისფერი ჭადარაც. თეთრიც და წითლად შეღებული ჭადარაც შემოქმედის ფიქრის საგნად, მოვლენად, დიდ მხატვრულ სახედ ქცეულა, რადგან მასში სიცოცხლის მედინობა, გარდავლილი ცხოვრება იკითხება, რომელიც აერთიანებს დაბადებას, გარდაცვალებას, ე. ი. ორივე სიცოცხლეს, სიკეთე-ბოროტებას, ავს და კარგს, სიმდიდრეს და სიღარიბეს, ახალგაზრდულ ოცნებას და ცხოვრებაგამოვლილ სიბრძნეს, რომელშიც ცის ნიჭიც არის ჩაქსოვილი და „გულგახეთქილი“ მყოფობაც:

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!

სისხლით შევღებავ ჭადარას

და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ

ამ ჩემ დაფსა და ნადარას („ჭადარა“; წერეთელი 1988: 68).

კიდევ: პოეტს გულს უხეთქს სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალა – სიყვარულის უქონლობა, როგორც ღმერთის სიყვარულისაგან

დამორება, ისე მოყვასის სიყვარულის მოკლება, რომელიც ადამიანის დაუძლურებას იწვევს, შემწედ კი ამ წუთისოფელშივე ღმერთი ესახება, რომელიც სასუფეველშიც კი სიყვარულს ამკვიდრებს:

ქვეყნიერად გადმოსულა  
სასუფეველით სიყვარული!...  
იწვევს ყოველ სულიერსა,  
რომ მიჰმადლოს სიხარული.

აკაკის აზრით, „სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება!... მაგრამ მისთანა სიყვარულში კი, რომელსაც სარჩულად სიმართლე და გულწრფელობა უძევს“ (წერეთელი 1988: 528).

ადამიანის არსის გადმოსაცემად აკაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ლოცვის სათნოების წარმომჩენ ლექსებს, რომლებშიც აკაკი, გარდა იმ ძირითადი სათქმელისა, რასაც ლოცვა იტევს ზოგადად, განსხვავებული შინაარსის გამოსახატავად იყენებს, იმ სათქმელისა, რამაც დაისადგურა მე-19 საუკუნის სულიერებით დაცლილ, ცოდვით აღვსებულ ადამიანში. ამ შემთხვევაში კი მისი ლოცვის სტრიქონები ერთგვარად მამხილებლის როლს ასრულებენ და, რაც მთავარია, ადამიანის გამაფრთხილებელ და გამომაფხიზლებელ გზად არის დასახული; პოეტის ლოცვა წარმოაჩენს შემოქმედის რწმენის უსაზღვროებას, მრავლისმთქმელია და დანიშნულებით ზეაღმატებული.

ლოცვის სათნოების აღსრულებით ვითარდება წარუვალი სულიერი მდგომარეობა, იგი არის გზა ზეშთაგონებისა, მისი მეშვეობით ადამიანი ღმერთს უახლოვდება და ემსგავსება. ლოცვა ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა, მისი დანიშნულება დიდია ადამიანის სულიერი სამყაროს განვითარების თვალსაზრისით და ამიტომაც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ადამიანობის არსს. აკაკის მიერ მტკივნეულად წამოჭრილ და განცდილ პრობლემას – სიბერის ტრაგედიას, სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართების საკითხს, რომლის შუა ზღვარზე იმყოფება ადამიანი, რომლის წართქმული ლოცვა სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლო საზღვარს ამთლიანებს; სწორედ მეტყველად წარმოსახავს უდიდესი სათნოება ლოცვა, რომელიც სხვა სათნოებების – სინანულისა და სიყვარულის გვერდით, ნათლად წარმოსახავს პოეტის ჩანაფიქრს, წუთისოფლის სიაგვარგემ რომ წარმოშვა და ღვთაებრივ სივრცეში უნდა მოხდეს მისი გადაწყვეტა, რის მოგვარებაშიც ლოცვას უდიდესი როლი აკისრია. პოეტის, შემოქმედის სულიერი მოღვაწეობა უსასრულობას უტოლდება, რითაც სავსეა მისი შემოქმედების ყოველი სტრიქონი. აკაკი წერეთლის მამხილებელი კალამი ღრმად სწვდება ყოველი ადამიანის შინაგან შრეებს, ამხელს მის სიაგვარგეს, უბიძგებს სიკეთის ქმნისაკენ, რომელიც მიიყვანს უკვდავების წიაღში.

ლოცვა კრავს და ამთლიანებს ამაოებას, წარმავლობას, სინანულს, ცრემლს, რწმენას, სიცოცხლეს, სიკვდილს... ლოცვა არის ადამიანის დღის განმაცხოველებელი ხატი, დღენათელი, ადამიანის ცოდვილი, მკრთალი, ფერცვლილი, ამაოებით მოსილი ბუნების სიკეთედ მქცევი, ეკლიანი გზის, ჯოჯოხეთის სამოთხედ გარდამქმნელი, უკვდავების მომნიჭებელი, წუთისოფლის მარტოობის დამძლველი, პოეტისათვის წუთისოფლის

ცხოვრების არეული გზა-კვალის მომწესრიგებელი, ჭირის ღვინად გარდამქცევი, ღმერთის სიყვარულის განმამტკიცებელი, დროის მედინობის სხვა ჩარჩოში მომამქცეველი, მძიმე ხვედრის შემამსუბუქებელი, ცხოვრების განმაახლებელი, აღმართი, ნაღვლისა და შხამის წამლად მქცევი, საღვთო ქორწინების მიწაზე ჩამომყვანი და სასუფევლის დამამკვიდრებელი.

აკაკის ადამიანი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, იმ ღირებულებების მატარებელია, რაც უნდა ახასიათებდეს ზოგადად ადამიანს ამქვეყნიურ სივრცეში საიმქვეყნო არსებობის შემზადების პროცესის წარმართვისას.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

**ახალი აღთქუმა 2004:** ახალი აღთქუმა. საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა. თბილისი, 2004.

**ბიბლიის ლექსიკონი 2000:** ბიბლიის ლექსიკონი (მასალები), ტ. I. შემდგენლები: ელ. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე. რედაქტორი ზ. სარჯველაძე, 2000.

**ბრიანჩანინოვი 2004:** წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი, ადამიანის სიცოცხლისა და სიკვდილის აზრი, წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვის თხზულებათა მიხედვით. რედაქტორი და გამომცემელი ზ. მუჯირი. თბილისი, 2004.

**თვარაძე 1987:** თვარაძე რ., მხატვრული სიტყვით გაცხადებული სული. შესავალი, წიგნში: ქართული მწერლობა, ოცდაათ ტომად, ტ. I. თბილისი, 1987.

**სირაძე 1987:** სირაძე რ., ბოლოსიტყვა, წიგნში: ქართული მწერლობა, ტ. I. თბილისი, 1987.

**ქართული... 1974:** ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1974.

**ქიქოძე 1993:** ეპისკოპოსი წმ. გაბრიელ ქიქოძე, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1993.

**ძეგლები 1963:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.). დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბილისი, 1963.

**წერეთელი 1980:** წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული. თბილისი, 1980.

**წერეთელი 1988:** წერეთელი ა., თხზულებანი, ლექსები, პოემები, დრამები ლექსად, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, პირადი წერილები. თბილისი, 1988.